პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

1 აპრილი, ოთხშაბათი, 1987 წ.
№ 64 (9475) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის

## შვიდი მედალი—ქართველ ფალავნებს

სასიხარულო ცნობა მივიღეთ კრასნოიარსკიდან, სადაც გუშინწინ დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. ამ ავტორიტეტულ შეჯიბრებაში საქართველოს ფალავნებმა 2 ოქროს, 2 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. წინა წლების შედეგებთან შედარებით პროგრესი აშკარაა.

ის. მე-4 გვ.

სურათებზე თქვენ ხედავთ პირველობაში გამარჯვებულ ფალავნებს ვახტანგ სულთანიშვილს და თამაზ ინდუაშვილს.





### ვახტანგ სულთანიშვილი

დაიბადა 1966 წელს თბილისში. წონა 90 კგ, სიმაღლე 178 სმ. სპორტის ოსტატი, სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" წევრი. მწვრთნელები — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ტარიელ ჭარბაძე და ვანო ნიკოლაძე. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი. ჭაბუკთა საკავშირო პირველობების ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი, საქართველოს 1986 წლის მოზრდილთა ჩემპიონატის II პრიზიორი, პროფტექგანათლების მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის 1987 წლის ახალგაზრდულ პირველობაში გამარჯვებული.

### თამაზ ინდუაშვილი

დაიბადა 1966 წელს ქარელის რაიონის სოფელ ურბნისში. წონა 100 კგ, სიმაღლე 183 სმ. სპორტის ოსტატი, სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" წევრი. მწვრთნელები — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნუგზარ სხირელი და სპორტის ოსტატი მერაბ მუზიაშვილი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელი განყოფილების II კურსის სტუდენტი. ევროპის 1984 წლის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, მსოფლიო ახალგაზრდული პირველობის (1985 წ.) ვერცხლის პრიზიორი, საქართველოს ჩემპიონი, პროფკავშირების საკავშირო პირველობაში გამარჯვებული, საბჭოთა კავშირის 1987 წლის ახალგაზრდული პირველობის ჩემპიონი.

3—5 აპრილი . 3—5 აპრილი . 3—5 აპრილი

## პირველად ჭადრაკის ისტორიაში

„სუსტი სქესი". ამ ერთ დროს პოპულარულ გამოთქმას დღეს ირონიული ელფერი დაჰკრავს. ის კი არა, ამ სიტყვებს ხშირად ბრჭყალებშიც აღარ სვამენ. მიზეზი გახლავთ ქალთა სრული ემანსიპაცია, რაც განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ჩვენი საუკუნის 80-იან წლებში.

3-5 აპრილს თბილისის ჭადრაკის სასახლეში მამაკაცთა და ქალთა შესაძლებლობებზე არსებული კიდევ ერთი დრომოჭმული წარმოდგენა დიმსხვრევა; დაიმსხვრევა იმიტომ, რომ ერთმანეთს ქალთა და ვაჟთა გუნდები შეერკინებიან.

ქალთა გუნდში მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკის მოჭადრაკეები გამოვლენ. ყველა სახელი ჭადრაკის ისტორიის ცოცხალი ლეგენდაა — მაია ჩიბურდანიძე და ელენა ახმილოვსკაია, ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი, ქეთევან არახამია... ცხადია, საკმაოდ სოლიდურია ვაჟთა კომპანიაც — იუგოსლავიელი საერთაშორისო დიდოსტატებისა და საერთაშორისო ოსტატების მონაწილეობით.

ქართველი ქალები და იუგოსლავიელი მოჭადრაკე ვაჟები ერთმანეთის პირისპირ ჩვენი საუკუნის ამ მართლაც უპრეცედენტო მატჩში! განა შეიძლება ამის შემდეგ ვიხმაროთ გამოთქმა „სუსტი სქესი"? ან კი დაგვიჯერებენ, რომ ქვეყნად მართლაც არსებობს სუსტი სქესი?

ფიგურული ციგურაობა

## „ბელომორის თამაშებზე"

**არხანგელსკში** დამთავრდა ფიგურულ მოციგურავეთა ტრადიციული, რიგით 21-ე საკავშირო შეჯიბრება ე. წ. „ბელომორის თამაშები".

კარგად გამოვიდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველკურსელი, ოსტატობის კანდიდატი გიზო ბლიაძე („დინამო"), მან ერთეულთა თანრიგში მეორე საპრიზო ადგილი დაისაკუთრა.

„ლელოს" კორ.

პროფკავშირული სპორტული საზოგადოებების ჭაბუკ ცხენოსანთა საკავშირო პირველობა



## უძლიერესი იყო იგორ მამფორია

„ლელოს" მკითხველებს ალბათ ახსოვთ: ჭაბუკ ცხენოსანთა საკავშირო პირველობის ზონალურ შეჯიბრებაში, რომელიც თბილისში ჩატარდა, წარმატებით იასპარეზა საქართველოს განათლების სამინისტროს რესპუბლიკური საცხენოსნო სპორტული სკოლის აღსაზრდელმა, გულრიფშელმა იგორ მამფორიამ. ამ დღეებში გაიმართა პროფკავშირული სპორტული საზოგადოებების ჭაბუკ მხედართა ფინალური ასპარეზობა, სადაც იგორ მამფორიამ კვლავ ისახელა თავი — მან მოიგო საკავშირო თასი და ყველას აჯობა დაბრკოლებათა გადალახვის სამივე პროგრამაში. რესპუბლიკის გუნდის მეორე წარმომადგენელი, თბილისელი ივანე ყურუა ორჭიდში მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა. ჩვენი მხედრები ამ შეჯიბრებისთვის მოამზადეს კ. გამიბაიაზოვმა (უფროსი მწვრთნელი) და მ. მახარაძემ (მწვრთნელი).

იმავე დღეებში მოსკოვში ჩატარდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პირველი ჩემპიონატი. აქ გუდაუთელი ხარლამ სიმონია (ცსკა-ს თხოვნით) ორჯერ გამოვიდა სტარტზე და ორივეჯერ მეორე იყო (გამარჯვებული დამატებითმა ხტომებმა გამოავლინა). ასე რომ, ცხენოსნობის განვითარება არმიის სპორტული კლუბების საზრუნავიც ხდება. იმედია, სპორტის ეს სახეობა არც თბილისის არმიის სპორტული კლუბის ყურადღების მიღმა დარჩება.

კვირა
5
აპრილი

**ამ დღეს რესპუბლიკაში ტარდება მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, როგორ ვემზადებით „ჯანმრთელობის დღისთვის"?**

(იხ. „ლელო" №№ 60, 62; 1987 წ.).

თბილისის ტრადიციული, მრავალდღიანი...

## მოჭრილ დისტანციაზე

ქალაქის ტრადიციული საერთაშორისო მრავალდღიანი ველორბოლა, ჩვეულებრივ, გაზაფხულის პირას ტარდება და სეზონის ერთ-ერთ პირველ შეჯიბრებას წარმოადგენს. წლევანდელ რბოლაში, რომელსაც სტარტი გუშინწინ მიეცა, მონაწილეობენ „სპარტაკის", „განთიადის", „კოლმეურნეს", „დინამოს", რუსთავის (ორი გუნდით), ხერსონის „ტრუდის" და ლატვიის ველოსიპედისტები. თბილისში ჩამოსვლა დააგვიანეს და პირველ ეტაპზე არ გამოსულან ლიუბლიანელი (იუგოსლავია) სპორტსმენები.

ამ დღეს თბილისში ცუდი ამინდი იდგა, ველორბოლისთვის ყოვლად შეუფერებელი. დავითაშვილის ქუჩის ბოლოში შეკრებილმა ველოსიპედისტებმა ჯერ კარგად წაივარჯიშეს, გაიხურეს კუნთები და სტარტზე მერე მოეწყვნენ.

პირველი ეტაპის პროგრამაში იყო რბოლა დაყოფილი სტარტით 9 კილომეტრზე. მსაჯთა კოლეგიას უფრო გრძელი დისტანცია ჰქონდა შერჩეული, მაგრამ წავკისის იქით გზა თოვლით იყო დაფარული და მანძილის შემოკლება (მოჭრა) გახდა საჭირო. 9 კილომეტრის გავლა წვიმასა და სიცივეში არც ისე იოლი იყო, თუმცა ველოსიპედისტებს ცუდი დრო არ უჩვენებიათ.

რბოლის პირველ ეტაპზე საუკეთესო დრო აჩვენა ლატვიის გუნდის წევრმა დაინის ოზილისმა, რომელმაც დისტანცია 19.37,0-ში დაფარა. ველოსიპედისტები სტარტს ერთი წუთის შუალედით სტოვებდნენ, ამიტომ ძნელი გასარკვევი იყო, ვინ მიდიოდა კარგად და ვინ — ცუდად. პრიზიორთა ვინაობა გაირკვა მხოლოდ მაშინ, როცა უკანასკნელმა მონაწილემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

მეორე და მესამე საპრიზო ადგილები რუსთაველმა გარი კეხბამ (20.35,0) და თბილისელმა („სპარტაკი") ვასილი დავიდენკომ (20.45,0) დაიკავეს.

თბილისის მრავალდღიანი ველორბოლის პროგრამა ექვსი ეტაპისაგან შედგება. მეორე ეტაპზე, რომელიც გუშინ ჩატარდა, ველოსიპედისტები საასპარეზოდ თბილისი — ანანური — ჯვარის ტრასაზე გავიდნენ. მესამე ეტაპი რუსთავის ავტოდრომზე ჩატარდა (100-კილომეტრიანი რკალური რბოლა). მეოთხე ეტაპი ისევ თბილისი— ფასანაური — თბილისის — ტრასაზე გაიმართება. მეხუთე ეტაპის მარშრუტი — (თბილისი — სიღნაღი — თბილისი) ყველაზე გრძელი იქნება. რბოლა დამთავრდება მეექვსე ეტაპით: თბილისი— წითელი ხიდი — თბილისი.

**გუშინ**

**ველორბოლის მეორე ეტაპზე (თბილისი-ანანური-ჯვარი) გამარჯვება მოიპოვა პირად ჩათვლაში მოასპარეზე გენადი გოდუნოვმა — 3:34.09. მეორე ადგილზე გავიდა ხვიჩა ბარბაქაძე („კოლმეურნე", თბილისი), მესამეზე—მიხეილ კნიაზევი („ტრუდი", ხერსონი). დრო ორივეს ერთნაირი აქვს — 3:34.19.**

## წოდებათა მინიჭება

**სსრ კავშირის** სპორტსახკომმა კრივში სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა: **ნიკოლოზ ჯაჭვაძეს** (თბილისი, „შრომითი რეზერვები"); **არტურ ხალატელიანს** (თბილისი, „ბურევესტნიკი").

სამბოში—**მამუკა ფაილოძეს** (სოხუმი, „დინამო").

აფროსნობაში — **ედუარდ ვართანიანს** (სოხუმი, „ტრუდი").

წყალში ხტომაში — **კარინა მუსოიანს** (სოხუმი, „ტრუდი").

ჰოკეი საქართველოში! ადრე ჩვენში სპორტის ამ სახეობის განვითარებაზე ოცნება უსაფუძვლოდ და განუხორციელებლად მიაჩნდათ. მაგრამ ენთუზიაზმმა მაინც თავისი გაიტანა. ჩვენი ბიჭუნები ისევე გატაცებით თამაშობენ ჰოკეის, როგორც ფეხბურთს. ოღონდ... ოღონდ ჯგუფები იყოს. და აი, ერთი ასეთი ჯგუფი რუსთავშიც გაიხსნა.

იხ. მე-4 გვ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სკპ XXVII ყრილობაზე ითქვა: „წინსვლა მით უფრო დაჩქარდება, რაც უფრო მტკიცე იქნება დისციპლინა და ორგანიზებულობა, რაც უფრო დიდი იქნება თ[illegible] თოეულის პასუხისმგებლობა დაკისრებული სამუშაოსათვის, მისი შედეგებისათვის".

ერთი წელი გავიდა, რა გაკეთდა?

# გარდაქმნა მოხდა, მეტს მოველოდით

1986 წლის 11 მარტს, როცა „ლელოს" ფურცლებზე გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი სათაურით „ინერტულობა", ვიცოდით მტკივნეული იქნებოდა სინამდვილისთვის თვალის გასწორება, მაგრამ იმის იმედიც გვქონდა, რომ საქართველოს საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო კარგად გაიგებდა გაზეთის კრიტიკას. საბედნიეროდ, სწორედ ასე მოხდა. სამინისტროს ხელმძღვანელობა და კოლეგია მართლაც საფუძვლიანად დაინტერესდნენ მოსახლეობას შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტმასობრივი მუშაობის რეალური მდგომარეობით. როგორც გაირკვა, მოსახლეობაში ამ საქმიანობის ფართოდ გასაშლელად სისტემაში დიდი შესაძლებლობები და რეზერვები გამოუყენებელი რჩებოდა, საქმე ფაქტიურად თვითდინებაზე იყო მიშვებული. სამინისტროს კოლეგიამ მაშინ გულდასმით გააანალიზა ყველაფერი, მიღებული დადგენილება კი ჩვენს გაზეთშიც გამოქვეყნდა, როგორც კრიტიკული გამოსვლის პასუხი.

მაგრამ მთავარი პასუხი, მოგეხსენებათ, მაინც კონკრეტული საქმეა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საკითხის გამწვავებით მართლაც საგრძნობლად გამოცოცხლდა მუშაობა. საქმისადმი სამინისტროს ხელმძღვანელობის პრინციპულმა დამოკიდებულებამ ის შედეგი გამოიღო, რომ ახალი სპორტული ბაზები გაჩნდა თბილისს, რუსთავის, ბათუმის, გაგრის, რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონული ცენტრების საცხოვრებელ ადგილებში. თბილისში, გოთუას ქუჩაზე, ერთ-ერთი სახლის სხვენში დაპროექტდა სპორტდარბაზი. გლდანის მასივში კულტურულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის რემონტი მიმდინარეობს, სისტემაში გაიზარდა ფიზკულტურის მეთოდისტის შტატების რიცხვი. ზოგან საცხოვრებელ ადგილებში სპორტული კლუბიც გაიხსნა. თავის დროზე ჩვენი გაზეთიც წერდა იმის შესახებ, რომ სამინისტრომ ბათუმში ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირი გამართა. უფრო მასობრივი გახდა ჯანმრთელობის ტრადიციული სპარტაკიადა. შეფები გააქტიურდნენ თბილისში, ბათუმში და რუსთავში. უდავოდ მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ სამინისტრომ გამონახა შესაძლებლობა და ფიზკულტურის მუშაკის ორი საშტატო ერთეული სტუდენტთა ქალაქს (ბაგებში) გამოუყო. იქვე, ბაგებში ადმინისტრაციული კორპუსის შენობაში სამინისტრომ დაიწყო გამოუყენებელი სათავსის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსად გადაკეთების სამუშაოები. 30 ათასი მანეთიდან დღემდე უკვე ათვისებულია 16 ათასი მანეთი. ერთი შტატიც პუშკინის პედაგოგიური ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელს მისცეს.


ლელო ●●●

11 მარტი, 1986 წ.

სკპ XXVII ყრილობაზე ითქვა: [illegible]

ინერტულობა

ეს — რაც გაკეთდა.. სამწუხაროდ, უფრო მეტი იმაზე უნდა ვთქვათ, რაც დღემდე სურვილად დარჩა და რეალობად ვერ იქცა. რა როლი შეასრულა სამინისტროს კოლეგიის დადგენილებამ იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში, რაც თვით დადგენილებაში აისახა? ამ სახელმძღვანელო დოკუმენტში სრულიად სამართლიანად ჩაიწერა, რომ „საცხოვრებელ ადგილებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას აშკარად აკლია ორგანიზებულობა და სისტემატურობა; საბინაო-კომუნალური ორგანიზაციები, სამმართველოები, ტრესტები, უბნები, სახლმმართველობები და კანტორები არ ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს. მდგომარეობის გამოსასწორებლად, მთლიანად ვერ იყენებენ არსებულ პირობებსა და შესაძლებლობებს...." თითქოს ზოგადი ფრაზებია, მაგრამ ამავე დროს ძალიან კონკრეტულიც, რაც ზუსტად გამოხატავდა მაშინდელ მდგომარეობას და... გამოხატავს დღევანდელსაც.

სამწუხაროდ, ეს ასეა, დადგენილების ამ პუნქტში ხომ სისტემის ცალკეული რგოლების უსაქმურობა, ინერტულობა იგულისხმებოდა. ვინ რა იღონა იმისათვის, რომ დადგენილების ეს მოთხოვნა ყველგან შესრულებულიყო? კონკრეტული პასუხისმგებლობა კოლეგიის მიერ მიღებული ამ დოკუმენტის შესრულებაზე დაევალა სამინისტროს საბინაო მეურნეობის გაერთიანებას (უფროსი თ. ჯაფარიძე). პრაქტიკულ საქმეში დახმარება უნდა გაეწია საკოორდინაციო საბჭოს, რომელსაც მინისტრის მოადგილე გ. დოლიძე უდგას სათავეში. ფაქტს ვერსად გავექცევით: დადგენილების შესრულება ფაქტიურად, ძირითადად მაინც, კონტროლის მიღმა დარჩა. მხოლოდ ერთხელ, ამ რამდენიმე თვის წინათ შეისწავლეს საერთო მდგომარეობა, მაგრამ საკითხმა კოლეგიამდე ვერ მიაღწია და წინასწარი თათბირის ჩატარებას დასჯერდნენ. გაწეული მუშაობის თაობაზე შემდგომ არც ერთი საბინაო ტრესტის, უბნის, სახლმმართველობის კანტორის, თუ სხვა ორგანიზაციის საკითხი არ განუხილავთ. სადაც გარდაქმნა უნდა მომხდარიყო, ვერ იგრძნეს ადამიანებმა სათანადო პასუხისმგებლობა.

აფხაზეთის საბინაო ტრესტის უფროსმა დ. სარსანიამ ჩვენს შეკითხვაზე, მიიღო თუ არა სამინისტროს ზემოაღნიშნული დადგენილება, დაეჭვებულმა თქვა: ალბათ მივიღებდითო! პასუხისმგებელი მუშაკის ასეთი განცხადების შემდეგ, რაღა თქმა უნდა, ძნელია დაიჯერო, რომ დადგენილება სრულდება. არადა, აფხაზეთში გაგრის საბინაო სამმართველოს გარდა თითქმის არსად არაფერი კეთდება, მხოლოდ ბავშვთა ქუჩის გუნდების შეჯიბრებაში მონაწილეობით იხდიან მოვალეობას. იგივე ითქმის მთლიანობაში რესპუბლიკის სხვა რეგიონზე, განსაკუთრებით — სამხრეთ ოსეთზე.

თუმცა, დავუბრუნდეთ ისევ კოლეგიის დადგენილებას. აი, კიდევ ერთი ამონაწერი ამ დადგენილებიდან, სადაც სამინისტროს ორგანიზაციების ადრინდელი მუშაობაა შეფასებული: „არ ზრუნავენ ადგილებზე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებაზე, სპორტული მოედნების მოვლა-პატრონობაზე, იშვიათად ტარდება მასობრივი შეჯიბრებები, სამინისტროს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის განყოფილება ვერ იქცა საცხოვრებელ უბნებში ფიზკულტურული მოძრაობის წარმმართველ ძალად". რა მოჰყვა ამ შეფასებას? აკი ვთქვით, ბევრი არაფერი, რაც მთავარია, ვერავითარი ცვლილება ვერ იგრძნო მოსახლეობამ, რომელიც მოთმინებით და იმედით მოელის საქმის სასიკეთოდ შემობრუნებას. ფორმალური ხასიათი ჰქონდა კონკურს-დათვალიერებას, რომელსაც ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში საუკეთესო კოლექტივები უნდა დაესახელებინა. რა კონკრეტულ საქმეზე შეიძლება ლაპარაკი, როცა არსად არ გახსნილა სისტემატურად მომუშავე გამაჯანსაღებელი ჯგუფები (მხოლოდ ფასიანი სააბონემენტო ჯგუფები არ გვაქვს მხედველობაში). მოსახლეობას შორის მასობრივ-გამაჯანსაღებელ მუშაობას ავლავინდებურად მხოლოდ და მხოლოდ ბავშვთა ეპიზოდური შეჯიბრებები ცვლის (განსაკუთრებით ფეხბურთში). აუთვისებელი რჩება ან არამიზნობრივად იყენებენ გამოყოფილ თანხებს. მოვიტანთ კონკრეტულ ფაქტებს: რუსთავის № 5 საბინაო-საექსპლოატაციო უბანმა 2800 მანეთიდან აითვისა 1850 მანეთი, ქუთაისის № 6 უბანმა — 868-დან 523. ასეთივე მდგომარეობაა ფოთში, მახარაძეში...

იყო დრო, სახლმმართველობებს ფიზკულტურის მუშაკის შტატი არ ჰქონდათ გამოყოფილი და ამ ფაქტს უმოქმედობის გასამართლებელ მიზეზად ასახელებდნენ. ახლა მთელ სისტემაში 140-მდე შტატიანი ფიზკულტურის მუშაკია დასაქმებული. მაგრამ სიტყვა „დასაქმება" ამ შემთხვევაში ერთობ პირობითია. საქმე ის არის, რომ ძალიან ბევრგან შტატში არასპეციალისტები ჰყავთ გაფორმებული. ზოგან ამ მუშაკს სულ სხვა საქმეს ავალებენ რაკი „ზედმეტი" თანამშრომელი გაუჩნდათ. განა შეიძლება მოსახლეობას შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ მუშაობას დაინტერესებითა და საქმის ცოდნით გაუძღვეს მაგალითად ისტორიკოსი (რუსთავის მე-6 უბანი), უცხო ენების სპეციალისტი (რუსთავის მე-5 უბანი), ზოგადი საშუალო განათლების მუშაკი (ახმეტა, ქარელი), ხატვის მასწავლებელი (საბურთალოს რაიონის საბინაო-საექსპლოატაციო უბანი), მარტო თბილისში 13 არასპეციალისტი მუშაობს. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, არადა...

ამონაწერი კოლეგიის დადგენილებიდან: „საცხოვრებელ ადგილებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის შეიმუშაონ სპორტული ბაზების მშენებლობის, არსებული ნაგებობების რეკონსტრუქცია-განახლების, მასობრივი სპორტული შეჯიბრებების ჩატარებისა და გამაჯანსაღებელი ჯგუფების შექმნის გეგმა, ყველა ღონე იხმარონ ამ გეგმების რეალიზაციისათვის; რაციონალურად და დანიშნულების მიხედვით გამოიყენონ სამპროცენტიანი დანარიცხები... ეფექტურად გამოიყენონ საშეფო ორგანიზაციების, სპორტული საზოგადოებების შესაძლებლობები. გამაჯანსაღებელი ჯგუფებისთვის საიჯარო საწყისებზე გამოიყენონ მოქმედი სპორტული მოედნები და ნაგებობები, გახსნან სპორტული ინვენტარის გამქირავებელი პუნქტები".

თუ როგორ შესრულდა დადგენილების ეს კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი პუნქტი, ამაზე ნაწილობრივ უკვე ვთქვით ზემოთ. დავძენთ მხოლოდ იმას, რომ ბევრგან არავის უცდია საშეფო მუშაობის გააქტიურება, გამაჯანსაღებელი ჯგუფების შექმნა საიჯარო საწყისებზე, არც სპორტული ინვენტარის გამქირავებელი პუნქტის გახსნა გასხსენებია ვინმეს. ამავე დადგენილებით გლდანის მასივის კულტმასობრივი და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომბინატის სარემონტოდ გამოყოფილი თანხები ნაწილობრივ აითვისეს.


თბილისი. 26 კომისრის რაიონი. ასე, გამოიყურება 89-ე სახლმმართველობის კალათბურთის მოედანი „შევარდენი".

ჩვენს დღევანდელ გამოსვლაში მხოლოდ მთავარ საკითხებზე შევაჩერეთ ყურადღება. როცა ნაკლოვანებები და შეუსრულებელი დაპირებები შევახსენეთ, ჯერ სამინისტროს საბინაო მეურნეობის გაერთიანების უფროსმა თ. ჯაფარიძემ, შემდეგ მინისტრის მოადგილემ გ. დოლიძემ გვითხრეს: მთავრობის დირექტივო დადგენილებას ველოდებით და მერე ყველაფერი გაკეთდებაო. ეს დადგენილება უკვე მიღებულია, მაგრამ ის, რაც ზემოთ ითქვა, რაც უნდა გაკეთებულიყო და არ გაკეთდა, სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით იყო გათვალისწინებული. სამინისტროს პასუხისმგებელ მუშაკებთან საუბრისას აშკარად იგრძნობოდა შეშფოთება და წუხილი იმის გამო, რომ კოლეგიის დადგენილება ჯეროვნად არ სრულდება.

დღეს ამით დავამთავროთ. თუ რატომ არ სრულდება სამინისტროს კოლეგიის დადგენილების ზოგიერთი პუნქტი, ამ საკითხზე ალბათ თვით კოლეგია იმსჯელებს. მომავალში კი ჩვენი საუბარი კიდევ გაგრძელდება.


რუსთავის კომუნალური მეურნეობის სამმართველოს სტადიონი კეთილმოუწყობელია.

## სპორტი ყველასათვის

### ასპარეზობენ პროფესორ-მასწავლებლები

**დამთავრდა** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა X სპარტაკიადა. შეჯიბრებაში, რომელიც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს მიეძღვნა, დაახლოებით სამასმა სპორტის მოყვარულმა მიიღო მონაწილეობა.

38 ქულით სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა სამკურნალო ფაკულტეტის გუნდმა (ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარე პროფესორი გ. რცხილაძე).

მეორე და მესამე ადგილებზე პედიატრიული ფაკულტეტის (37 ქულა) და ფარმაცევტიული ფაკულტეტის (26 ქულა) გუნდები გავიდნენ.

სპარტაკიადის საზეიმო დახურვაზე გამარჯვებულ გუნდებსა და ცალკეულ მონაწილეებს დიპლომები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ხანებში ინსტიტუტში ხშირად ტარდება მასობრივი სპორტული ღონისძიებები. ამ რამდენიმე ხნის წინ მოეწყო მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება ტყვიით სროლაში. შეჯიბრებაში 400-მდე სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა.

**გოგი ვოგოლაშვილი,**
ინსტიტუტის სპორტული კლუბის თავმჯდომარის მოადგილე.

### მხოლოდ ქალები

**ბათუმში** ჩატარდა ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სპარტაკიადა. მონაწილენი ორ ჯგუფად გაიყვნენ. პირველ ჯგუფში გამარჯვებისათვის იბრძოდნენ საწარმო-დაწესებულებების კოლექტივები, მეორეში — უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლის ფიზკულტურელები. საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივებს შორის ყველაზე უკეთ მომზადებული ტყავფეხსაცმლის სამრეწველო საავჭრო ფირმა „ბათუმის" გუნდი აღმოჩნდა. ამ საწარმოს წარმომადგენლებმა პირველი ადგილები დაიკავეს კალათბურთში, ფრენბურთში, ცურვასა და ჭადრაკში, მესამე ადგილზე გავიდნენ მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრებაში და საერთო გუნდურ ჩათვლაში დამაჯერებლად მოიპოვეს სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი. მეორე და მესამე ადგილებზე შესაბამისად გავიდნენ ტრანსფორმატორებისა და მანქანათსაშენი ქარხნების კოლექტივები. მოუმზადებელი გუნდები გამოიყვანეს საასპარეზოდ კავშირგაბმულობის საწარმოო-ტექნიკურმა სამმართველომ და სამკერვალო საწარმო გაერთიანებამ. გემთსაშენი ქარხნის და სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" საქალაქო საბჭოს ფიზკულტურულ კოლექტივებს სპარტაკიადაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების წარმომადგენელთა შეჯიბრებაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივმა გამოიჩინა თავი. მომავალმა პედაგოგებმა გაიმარჯვეს ჭადრაკში, კალათბურთსა და ცურვაში გამართულ შეჯიბრებაში. მეორე ადგილზე გავიდნენ ვაჭრობის ტექნიკუმის მოსწავლეები, მესამეზე — სამედიცინო სასწავლებლის წარმომადგენლები.

**ლ. ქავთარაძე.**

### მცირე ჩოგნით

**ლესიჭინეს** მეორე საშუალო სკოლის სპორტდარბაზში გამართულ სარაიონო სპარტაკიადის მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრებაში რაიონის სკოლების 54 მოსწავლე იბრძოდა გამარჯვებისთვის.

მასპინძლებმა „ცუდი" სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს. მათ დაუმარცხებლად განვლეს ორთაბრძოლები და პირველი ადგილი დაიკავეს. მეორეზე ლესიჭინეს პირველი საშუალო სკოლის ჩოგბურთელები არიან. მესამე ადგილი ჩხოროწყუს პირველსკოლელებს ერგოთ.

**იაშა ნაჭყებია,**
„ლელოს" კორ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ფეხბურთი —

სსრ კავშირის ჩემპიონატი

50

# IV ტურის სტატისტიკა

მოგვყავს სსრ კავშირის 50-ე საფეხბურთო ჩემპიონატის IV ტურის შეხვედრათა სტატისტიკური მონაცემები.

**„ზენიტი" — ცსკა 1:0 (0:0).** გოლი ლენინგრადელმა დმიტრიევმა 67-ე წუთზე გაიტანა 11-მეტრიანით.

გააფრთხილეს ზენიტელი ბარანიკი და არმიელი დ. კუზნეცოვი.

დუბლიორები — 3:4.

**„სპარტაკი" — „არარატი" 2:0 (0:0).** პირველი ბურთი გაიტანა მესხმა, მეორე — როდიონოვმა.

გააფრთხილეს სპარტაკელი ხიდიატულინი.

დუბლიორები — 4:1.

**„დინამო" (კიევი) — „ნეფთჩი" 2:1 (0:0).** გოლები: ჯავადოვი, ბელანოვი (11-მეტრიანებით).

გააფრთხილეს „ნეფთჩის" მოთამაშე კასუმოვი და კიეველები დემიანენკო, კუზნეცოვი და ბალტაჩა.

დუბლიორები — 2:0.

**„ჟალგირისი" — „შახტიორი" 3:2 (1:1).** ვილნიუსელთაგან ორი ბურთი გაიტანა სუკრისტოვმა, ერთი — მაცკიავიჩუსმა, სტუმართა მხრივ კი პეტროვმა (11-მეტრიანი) და იურჩენკომ.

გააფრთხილეს „შახტიორის" მოთამაშე პარხომენკო.

დუბლიორთა შეხვედრა არ შედგა.

**„ქაირათი" — „დინამო" (მოსკოვი) 1:0 (1:0).** გოლი გაიტანა ფეხლევანიდიმ.

გააფრთხილეს ალმაათელი ტიმოფეევი და მოსკოველი სკლიაროვი.

დუბლიორები — 1:0.

**„დინამო" (მინსკი) — „დნეპრი" 1:0 (1:0).** გოლი კონდრატიევმა გაიტანა მე-6 წუთზე. 90-ე წუთზე 11-მეტრიანი დნეპროპეტროვსკელმა ლიტოვჩენკომ ძელს მოახვედრა.

დუბლიორები — 0:0.

● **ხარკოვის** „მეტალისტისა" და თბილისის „დინამოს" შეხვედრაში არაზუსტად გადმოგვცეს, რომ მსაჯმა გააფრთხილა თბილისელი ნ. კაკილაშვლი. სინამდვილეში გააფრთხილეს კეტაშვილი. ახლა გ. კეტაშვილს და ს. ჩედიას ორ-ორი გაფრთხილება აქვთ მიღებული.

● **საკავშირო** ჩემპიონატის მეოთხე ტურში ყველა მატჩი მოიგეს მასპინძლებმა. მათ გაიტანეს 13 ბურთი, ხოლო სტუმრებმა — მხოლოდ 4. საერთოდ, ჩემპიონატის დაწყებიდან მასპინძლებმა 17 გამარჯვება მოიპოვეს, სტუმრებმა კი სულ 5.

● **ტურის** 8 მატჩში მსაჯებმა 4 პენალტი დანიშნეს. 11-მეტრიანები ვერ გამოიყენეს აგაშკოვმა („ტორპედო", მოსკოვი), მიხაილიჩენკომ („დინამო" კიევი) და ლიტოვჩენკომ („დნეპრი").

● **მხოლოდ** მოსკოვის „სპარტაკს" და კიევის „დინამოს" არ განუცდია დამარცხება, გარდა ამისა, არც ერთი ქულა არ დაუკარგავთ. ყველაზე მეტი ბურთი გაიტანეს სპარტაკელებმა (11), ყველაზე ნაკლები მიიღეს მოსკოვის „ტორპედომ" და კიევის „დინამომ" (თითო)

● **ბომბარდირთა** დავაში დაწინაურდნენ კიეველი ა. ზავაროვი, სპარტაკელი ს. როდიონოვი და დნეპროპეტროვსკელი ო. ტარანი. მათ ანგარიშზეა 6-6 გატანილი გოლი.

● **კიევის** „დინამოსა" და ბაქოს „ნეფთჩის" შეხვედრაში მინსკელმა მსაჯმა ვ. ჟუკმა 3 პენალტი დანიშნა.

**V ტურის კალენდარი**

**2 აპრილი**

**ცსკა — „მეტალისტი"**

**3 აპრილი**

**„დინამო" თბ. — „ზენიტი"**
**„გურია" — „ქაირათი"**
**„დნეპრი" — „დინამო" კ.**
**„შახტიორი" — „სპარტაკი"**
**„ტორპედო" — „დინამო" მ.**
**„არარატი" — „ჟალგირისი"**
**„ნეფთჩი" — „დინამო" მნ.**

**გათამაშების ცხრილი**

**დუბლიორთა შემადგენლობანი**

**მდგომარეობა 1 აპრილისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 4 | 4 | 0 | 0 | 17-4 | 8 |
| „ზენიტი" | 4 | 2 | 1 | 1 | 8-6 | 5 |
| „ჟალგირისი" | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 5 |
| „ქაირათი" | 4 | 2 | 1 | 1 | 6-6 | 5 |
| „მეტალისტი" | 4 | 2 | 0 | 2 | 7-5 | 4 |
| „დნეპრი" | 4 | 2 | 0 | 2 | 7-7 | 4 |
| ცსკა | 4 | 2 | 0 | 2 | 6-6 | 4 |
| „ნეფთჩი" | 4 | 2 | 0 | 2 | 4-11 | 4 |
| „ტორპედო" | 4 | 1 | 2 | 1 | 3-2 | 4 |
| „შახტიორი" | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 3 |
| „დინამო" მნ. | 4 | 1 | 1 | 2 | 5-6 | 3 |
| „დინამო" თბ. | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 3 |
| „დინამო" კ. | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 2 |
| „არარატი" | 4 | 1 | 0 | 3 | 4-9 | 2 |
| „დინამო" მ. | 4 | 0 | 1 | 3 | 4-7 | 1 |
| „გურია" | 3 | 0 | 1 | 2 | 3-7 | 1 |

# ჩუმად ყოფნას ამჯობინებენ

**ისეთი** შთაბეჭდილება შეგვექმნა, თითქოს, ფეხბურთის საკავშირო ფედერაცია, რომელსაც სსრ კავშირის ჩემპიონატის ჩატარება აქვს დავალებული, იმას უცდის, როდის დაელევათ მოთმინება მოთამაშეებს, მწვრთნელებს, სპორტულ მუშაკებსა და ფეხბურთის მილიონობით მოყვარულსაც. უმაღლეს ლიგაში უკვე რამდენიმე ტურმა განვლო და ჯერაც არავინ იცის რა წესით ჩატარდება ჩემპიონატი: ბოლოსდაბოლოს, შეინარჩუნებენ თუ არ შეინარჩუნებენ ფრეთა ლიმიტს?

მკითხველები ამის თაობაზე გვეკითხებიან წერილობითაც, დეპეშებითაც. რედაქციაში რეკავენ სპორტულო ხელმძღვანელები ბაქოდან, ხარკოვიდან, ერევნიდან, ლანჩხუთიდან, დნეპროპეტროვსკიდან და თითქმის ყველა იმ ქალაქიდანაც, სადაც 4 აპრილს იწყება საკავშირო გათამაშება პირველი ლიგის 22 გუნდს შორის.

— ძალაში დარჩება თუ გააუქმებენ ფრეთა ლიმიტს? — გვეკითხებიან მწვრთნელები. — ერთნი ამბობენ, რომ პირველ ლიგაში ფრეთა ლიმიტი 12-დან ათამდე შემცირდება, სხვანი გვიმტკიცებენ, ლიმიტი უკვე გაუქმებულიაო.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პლენუმზე 28 თებერვალს ფედერაციის თავმჯდომარემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ბ. ტოპორნინმა კენჭისყრა მოაწყო იმის თაობაზე, მიზანშეწონილია თუ არა გაგრძელდეს ეს ექსპერიმენტი უმაღლესი და პირველი ლიგების საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ დაწესდა ჩვენში. ფედერაციის პლენუმის მონაწილეთა აბსოლუტურმა უმეტესობამ მხარი დაუჭირა ლიმიტის გაუქმებას ამ სეზონშივე.

მაგრამ უმაღლეს ლიგაში უკვე რამდენიმე ტურის თამაშები ჩატარდა, მათ შორის 8 შეხვედრა ფრედ დამთავრდა, ლიმიტის საკითხი კი ჯერ კიდევ ღიადაა დარჩენილი. როგორ უნდა ვიანგარიშოთ შემდგომში ეს — 0:0, 1:1, და 2:2?..

სსრ კავშირის სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველომ და საკავშირო ფედერაციამ 24 მარტს პირველად დაამყარეს ფეხბურთის მოყვარულებთან სატელეფონო კავშირი 17-დან 19 საათამდე, ორი საათის განმავლობაში, 150 შეკითხვა შემოვიდა, მათ შორის, რასაკვირველია, ფრეთა ლიმიტზეც იყო საუბარი. მეც იგივე შეკითხვა დავუსვი ფედერაციის წარმომადგენელს. მას მაინცდამაინც დიდი ენთუზიაზმი არ გამოუჩენია: ფედერაცია 31 მარტს შეიკრიბება და საკითხსაც გადაჭრისო.

ვერ მოვასწარი შეკითხვა რატომ მაინცდამაინც 31 მარტს და არა უფრო ადრე? იქნებ, მთელი თვის სიჩუმის შემდეგ ფედერაცია რაღაც საპირველაპრილო ხუმრობას გვიმზადებს საფეხბურთო ფრეების ლიმიტის თაობაზე.

უნებურად გვახსენდება მ. ჟვანეცკის 21 წლის წინანდელი იუმორისტული მიმართვა ჩვენი ფეხბურთელებისადმი, როცა სსრ კავშირის ნაკრები ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადებოდა:

„...უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ბოლო მომენტამდე არ უნდა ვიცოდეთ ვინ გაემგზავრება. გასაგებია?! მოდით, მათ, ვინც გაემგზავრება, იფიქროს, რომ უნდა დარჩნენ ისინი, ვინც დარჩა და ივარაუდოს, რომ იგი უკვე გაემგზავრა. ნათელია? არაფერიც არაა ნათელი. აი ასე. მათგან, ვინც კი გაემგზავრა, არავინ უნდა იცოდეს თუ ვინ გამოვა მინდორზე, ხოლო მათგან, ვინც მინდორზე გამოვა, არავინ უნდა იცოდეს ვინ ითამაშებს, მათგან კი ვინც ითამაშებს, არ უნდა იცოდეს ვის ეთამაშება. ვინმე იტყვის, გუნდი შეუთამაშებელი დარჩებაო. მეტოქეს, ამხანაგებო, ჩვენი შეუთამაშებლობისა ცეცხლივით უნდა ეშინოდეს. ამ სუსტი სახითაც ჩვენი გუნდი საფრთხობელას უნდა წარმოადგენდეს..."

მაშინ ადვილი იყო ქილიკობა საფეხბურთო თემაზე: ჩვენი გუნდი ძლიერი იყო და პირველად მოიპოვა მეოთხე საპრიზო ადგილი მსოფლიო ჩემპიონატში. ახლა კი ვინ გვინდა რომ „დავაფრთხოთ" ჩვენი შეუთანხმებლობით ამ არხიმარტივი საკითხის გადაწყვეტისას: დარჩება თუ არა ფრეთა ლიმიტი წლეულს?

**ბ. ფედოსოვი,**

**„იზვესტია". 29 მარტი, 1987 წელი.**

# პენალტების „კორიანდელი"

**ფეხბურთის** მოყვარულებმა სატელევიზიო რეპორტაჟებში, აგრეთვე, „საფეხბურთო მიმოხილვაში" ნახეს, თუ როგორ დანიშნა ომსკელმა მსაჯმა ვ. კუზნეცოვმა 11-მეტრიანი არმიელთა კარში ლენინგრადის „ზენიტისა" და ცსკა-ს მატჩში. ლენინგრადელებმა ბურთი გაიტანეს და მატჩი მოიგეს, მაგრამ ჩვენ ყველამ თვალნათლივ ვნახეთ, რომ ლენინგრადში არმიელებმა წესი დაარღვიეს საჯარიმო მოედნის ფარგლებს გარეთ, მსაჯმა კი 11-მეტრიან ნიშანზე მიუთითა.

კიევის „დინამოსა" და ბაქოს „ნეფთჩის" შეხვედრაში მინსკელმა არბიტრმა ვ. ჟუკმა, როგორც იტყვიან, თავისებური სამსაჯო „ჰეთ-თრიკი" შეასრულა და ბაქოელთა კარში 3 პენალტი დანიშნა, ამ სამი დარტყმიდან კიეველებმა ორი ზუსტად გამოიყენეს და გამარჯვებასაც მიაღწიეს. აქაც ყველამ ვნახეთ, რომ არც ამ შემთხვევაში იყო სამივეჯერ ისეთი დარღვევა, მსაჯს რომ „სასჯელის უმაღლესი ზომისთვის" მიემართა.

ლენინგრადის „ზენიტისა" და ცსკა-ს, კიევის „დინამოსა" და ბაქოს „ნეფთჩის" შეხვედრათა ვიდეოჩანაწერები სპეციალისტებმა საგანგებოდ განიხილეს ფეხბურთის საკავშირო ფედერაციაში და გუშინ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე თავიანთი მოსაზრება მოახსენეს ამ ვიდეოჩანაწერის განხილვის საფუძველზე.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა, გარდა ამისა, იმსჯელა საკავშირო ჩემპიონატში ფრედ დამთავრებული მატჩების ლიმიტის თაობაზე. პრეზიდიუმის გადაწყვეტილება ამ საკითხზე პრესაში გამოქვეყნდება.

## მუნიოსი ასახელებს შემადგენლობას

ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა მიგელ მუნიოსმა დაასახელა ის 16 ფეხბურთელი, რომლებიც ავსტრიის ნაკრებთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრისათვის მოემზადებიან. ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერი — მადრიდის „რეალი" 7 ფეხბურთელით არის წარმოდგენილი: სანჩისი, ჩენდო, კამაჩო, მიჩელი, გალიეგო, გორდილიო და ბუტრაგენიო. ნაკრებში 5 მოთამაშეა „ბარსელონიდან" — სუბისარეტა, კალდერე, რობერტო, ვიქტორი, კარასკო, 2 ხიხონის „სპორტინგიდან" — ელოი და აბლანედო, თითო ბილბაოს „ატლეტიკიდან" — ანდრინუა და „ესპანიოლიდან" — სოლერი. აღსანიშნავია, რომ „ესპანიოლის" მცველი მიგელ სოლერი, რომელიც წლევანდელი ჩემპიონატის აღმოჩენად ითვლება, თავის სადებიუტო სეზონს ატარებს პირველი დივიზიონის კლუბში.

აფროსანთა საკავშირო რეგატა

## იუბილართან ერთად

**სოჭი.** აქ დაიწყო აფროსანთა ტრადიციული საკავშირო რეგატა, რომელშიც მონაწილეობს 160-მდე ხომალდი. ორბალიან ღელვას ზღვაზე თან ახლავს ჩრდილო-დასავლეთის ქარი, რაც მოასპარეზეებს ერთგვარად ხელს უწყობს კიდეც (აფროსნებს არ უყვართ მშვიდი და უქარო ამინდი).

სეზონის ერთ-ერთი პირველი რეგატის მონაწილენი კარგ მომზადებას ამჟღავნებენ. სამი რბოლის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენი აფროსნების ლიდერები — ქვეყნის ნაკრები გუნდის წევრები დაწინაურდნენ. ერთ-ერთი რბოლის წინ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს ვ. პოტაპოვს რეგატის მონაწილეებმა დაბადებიდან 40 წლისთავი მიულოცეს.

პოტაპოვი „ვარსკვლავის" კლასში ასპარეზობს, იქ, სადაც მთავარ ფავორიტად საქართველოს წარმომადგენელი გ. ბიგანიშვილი ითვლება. 3 რბოლის შემდეგ შეჯიბრებას ერთნაირი შედეგებით სწორედ ეს ორი სპორტსმენი ლიდერობს.

დანარჩენ კლასებში დაწინაურდნენ: „470"-ში — დ. ცალიკი, „ფინში" — ნ. სუხორუკოვი, „ლუჩში" — ს. დელემკოვსკი, „ტორნადოში" — ს. პრიიმაკი (ყველა — უკრაინა), „მფრინავ ჰოლანდიელში" — ა. შპილკო (ბელორუსია).




# მოედანს ტოვებს... არბიტრი

ქუთაისი. „დინამოს" სტადიონი. 30 მარტი.

**„მშენებელი" (ქუთაისი) — „პრიმორეცი" (ლენინგრადი) — 13:0 (9:0).**

**„მშენებელი":** ძაგნიძე, ჟორჟოლიანი (გიორგობიანი), გაბრიჩიძე, ლიპარტელიანი, ხამაშურიძე, გიორგაძე, ლოხაბერიძე, ნაჭყებია, დანგაძე, თხელიძე, ოდიშარია, ცხვარაძე (გაბუნია), ლილუაშვილი, ტურძელაძე, ობოლაძე..

**„პრიმორეცი":** ულიტინი, რიჟკოვი, ჟოვნერი (კისელიოვი), მატინი, ლეონოვი, ანდრეევი, ისაკოვი, ბოლშაკოვი (ვოლჩკოვი), ჩერნეგა, პოდობინი, ჟურავლიოვი, კრუგლიკი, პავლენკო, მოროზოვი, ხერგეევი.

**გოლები: „მშენებელი": 2 დამიწება (8, ნაჭყებია; 75, ლიპარტელიანი), 1 რეალიზაცია (9, ძაგნიძე), 1 ჯარიმა (19, ძაგნიძე).**

**მსაჯები: ნ. ნაპოლნოვი და ა. გრაჩოვი (ორივე — მოსკოვი).**

ისე, როგორც სპორტის უმეტეს სახეობებში, რეგბიშიც მინდორზე ერთი მთავარი არბიტრი გამოდის. მაგრამ ეს მატჩი ჯერ ერთმა, შემდეგ მეორე არბიტრმა იმსაჯა, თუმცა უმჯობესია შეხვედრის კომისარს ვ. ვასილენკოს მოვუსმინოთ.

— 1972 წლიდან ვმსაჯობ საკავშირო ჩემპიონატების კალენდარულ თუ საერთაშორისო მატჩებს,—თქვა მან — მანამდე, მრავალი წლის განმავლობაში, რეგბის ვთამაშობდი, მაგრამ მთავარი მსაჯის შეცვლას პირველად შევესწარი.

დიახ, პირველი ტაიმის მიწურულში ნ. ნაპოლნოვმა შეუძლოდ იგრძნო თავი, თამაში შეწყვიტა და... შეცვლა მოითხოვა. კომისრის გადაწყვეტილებით, მინდორზე გრაჩოვი გამოჩნდა. თუმცა ნაპოლნოვი ექიმებმა მალე განკურნეს, მაგრამ მოედანზე აღარ გამოსულა.

მატჩის ბედი კი უკვე გადაწყვეტილი იყო. „მშენებელმა" თავიდანვე უაღრესად სწრაფ ტემპში, აგრესიულად დაიწყო თამაში და მალე საგრძნობი ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა მოიპოვა. ამ დროს მთელი ძალები თავდასხმაში იყო გადასროლილი, ხშირად იცვლებოდა შეტევის მიმართულება, რაც პრობლემებს უჩენდა მეტოქეს. ანგარიში მე-8 წუთზე გაიხსნა: ლენინგრადელთა 22-მეტრიან ზონაში დანიშნული შერკინება იმით დამთავრდა, რომ ქუთაისელმა მორკინალებმა მძლავრი ბიძგით სტუმრები საკუთარ ჩასათვლელ მოედანზე შეიყვანეს და ამ ძალისმიერ ორთაბრძოლაში ნაჭყებიამ შეძლო ბურთის დამიწება, ძაგნიძემ კი გვერდითი ხაზიდან ოსტატურად გამოიყენა რეალიზაცია — 6:0.

სტატიკურ თამაშში მშენებლებმა აშკარად დაჯაბნეს ნევისპირელი სპორტსმენები, რომლებმაც რამდენიმე შეცდომა დაუშვეს. ერთი საჯარიმო ძაგნიძემ ზუსტად გამოიყენა.

მეორე ტაიმში გაცილებით მობილიზებული „პრიმორეცი" ვიხილეთ. საკმაოდ გამოცდილი ლენინგრადელები ეცადნენ ბრძოლაში გარდატეხა შეეტანათ. კარგად თამაშობდა მათი ორი ნახევარმცველი, მაგრამ „მშენებელმა", რომელიც პირველ ტაიმში მეტოქეს მძაფრად უტევდა, შესვენების შემდეგ დაცვაშიც კარგად ითამაშა. სტატიკურ მდგომარეობაში „დაჩაგრული" „პრიმორეცი" ეცადა ფლანგური შეტევებით მიეღწია სასურველი შედეგისთვის. ასეთი შეტევები კი მეტწილად მოედნის შუა ნაწილში მთავრდებოდა, სადაც მასპინძელთა თავდასხმა აქტიურობდა. ერთი სიტყვით, სტუმრებმა სერიოზული საფრთხე ვერ შეუქმნეს მეტოქეს. მატჩის მიწურულს კარგად ითამაშეს ქუთაისელთა სამმეოთხედელებმა — გაბრიჩიძემ ეფექტურად წაართვა ბურთი მეტოქეს, არც ბურთის ზუსტად გადაცემა დაუგვიანებია და გამოცდილმა ლიპარტელიანმა კიდევ ოთხი ქულა შესძინა გუნდს. 13:0 — ასეთი დამაჯერებელი ანგარიშით გაიმარჯვა „მშენებელმა", რომელიც შეხვედრიდან შეხვედრამდე აუმჯობესებს თამაშს. ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ უახლოეს მომავალში მას ძნელი მატჩები ელის.

**თამაზ ხარაბაძე.**

**(„ლელოს" საკ. კორ.).**

ქუთაისი.

# შვიდი მედალი — ქართველ ფალავნებს

დასასრული

**ახალგაზრდა** მოჭიდავეთა საკავშირო პირველობები სპეციალისტთა და გულშემატკივართა დიდ ინტერესს იწვევს, მით უფრო წლევანდელი ტურნირი, რომელსაც ახალი ოლიმპიური ციკლისთვის საბჭოთა კავშირის ნაკრების კანდიდატები უნდა დაესახელებინა. კრასნოიარსკში საასპარეზოდ სპორტსაზოგადოებების და უწყებების გუნდები შეიკრიბნენ. მედლებისათვის ბრძოლაში ჩაება 1965-68 წლებში დაბადებული 200-მდე მოჭიდავე, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის 19 წარმომადგენელი. წარმატებას მიაღწიეს ვახტანგ სულთანიშვილმა (90 კგ, „შრომითი რეზერვები", თბილისი) და თამაზ ინდუაშვილმა (100 კგ, „ბურევესტნიკი", გორი), რომლებმაც ყველა ბრძოლა მოიგეს და ოქროს მედლები დაისაკუთრეს. სულთანიშვილი ექვსჯერ გამოვიდა ხალიჩაზე, მან პირველივე წრეში წმინდა გამარჯვებით ჩამოიცილა გზიდან მთავარი კონკურენტი, მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი, კიეველი ოვჩარენკო, IV წრეში ჭაბუკთა შორის საკავშირო პირველობის ჩემპიონი ოდესელი კოცოევი დაამარცხა, ფინალში კი — მოსკოველი არუთინიანი. ინდუაშვილმა შვიდიდან ოთხ შეხვედრაში წმინდა გამარჯვება მოიპოვა. ფინალში მისი მეტოქე იყო ევროპის ჭაბუკთა 1986 წლის ჩემპიონი ვანილი ზაზატყეშელაშვილი („შრომითი რეზერვები"). ეს ბრძოლა ინდუაშვილმა ანგარიშით 7:4 მოიგო. ტყეშელაშვილმა ვერცხლის ჯილდო მიიღო. სხვათა შორის, ქვემძიმე წონაში კვარცხლბეკის მესამე საფეხურიც ქართველმა ფალავანმა — თბილისელმა კობა კუპატაძემ (ასკ) დაიკავა. 68 კგ წონაში ვერცხლის მედალი დაისაკუთრა თბილისელმა გოჩა გაბოძემ („დინამო"). მან დამაჯერებლად მოიგო წინასწარი შეხვედრები, ფინალშიც ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ ბრძოლის მიწურულს ქულა დაკარგა და დამარცხდა. მესამე ადგილები დაიკავეს თბილისის არმიის სპორტკლუბის წევრებმა დავით ხურციამ (82 კგ) და ლევან ებანოიძემ (130 კგ).

### მოსწავლეთა საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში

# რეზერვის დათვალიერება

**მოსწავლე ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირმა, რომელიც თბილისის სპორტის სასახლეში სამ დღეს მიმდინარეობდა, გვიჩვენა, რომ ახალგაზრდა სპორტსმენები თანდათან იმაღლებენ ოსტატობას. ეს ითქმის როგორც საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებზე, ისე უცხოეთიდან ჩამოსულ ძიუდოისტებზე.**

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება (40 ქულით) საქართველოს მოჭიდავეებმა მოიპოვეს. მათ 14,5 ქულით გაუსწრეს მეორე ადგილზე გასულ „დინამოს" (სსრ კავშირი) მოჭიდავეებს. რესპუბლიკის მოსწავლე ძიუდოისტთა ეს ბრწყინვალე გამარჯვება ჩვენთვის დიდი სიურპრიზი იყო, მაგრამ როგორც ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ვასილ ლაზრიშვილმა განაცხადა, საქართველოს მოჭიდავეები ამ გამარჯვებისთვის მზად ყოფილან. მწვრთნელმა დასძინა, რომ მოსწავლეთა XVII სპარტაკიადიდან მოყოლებული ჩვენმა ძიუდოისტებმა არ იციან რა არის დამარცხება და თითქმის ყველა შეჯიბრებას შესაშური შედეგებით ამთავრებენ. ამ ტურნირმა კი იმაშიც დაგვარწმუნა, რომ მოზრდილთა ძიუდოს არც ისე ურიგო რეზერვი ჰყავს და ზოგ მათგანზე მწვრთნელები კონკრეტულ იმედებს ამყარებენ.

ახალგაზრდებს სილაღეს და სითამამეს ვინ წაართმევს. მათი უპირატესობა სწორედ ის გახლავთ, რომ ნაკლებად არიან დაინტერესებული სატურნირო ბრძოლების კონიუნქტურით და ცდილობენ ყოველი შეხვედრა, იქნება ეს საკვალიფიკაციო თუ ფინალური, ეფექტურად დაამთავრონ. ამიტომ იყო, სამი დღის მანძილზე არც ერთ ბრძოლას უინტერესოდ რომ არ ჩაუვლია.

ზოგჯერ ძალები თანაბარია. ასეთ დროს ეფექტური ილეთები ცოტაა. რა თქმა უნდა, ერთ-ერთი მოჭიდავე იგებს შეხვედრას, შესაძლოა, მინიმალური უპირატესობით, მაგრამ პასიური ბრძოლა მაშინაც გამორიცხულია. 57 კგ წონითი კატეგორიის მოჭიდავეთა ფინალურ შეხვედრაში, მაგალითად, საქართველოს გუნდის ორი წარმომადგენელი გამოვიდა სარბიელზე — გ. ადიბეკოვი და ზ. სამუკაშვილი. ორივე მონდომებით იბრძოდა, ორივეს სურდა მაღალი ოსტატობა ეჩვენებინა, მაგრამ გამარჯვება ერთერთს უნდა დარჩენოდა და, რასაკვირველია, უფრო გამოცდილმა ადიბეკოვმა იყოჩაღა.

დაახლოებით იგივე სურათი განმეორდა 68 კგ წონითი კატეგორიის ფინალში. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლების ვ. დგებუაძისა და მ. თვალაძის შეხვედრის ბედი ერთადერთმა „კოკამ" გადაწყვიტა. ასეთი შეფასება მიიღო დგებუაძემ ლამაზად ჩატარებული ილეთისათვის, რომელმაც მას გამარჯვება მოუტანა. აქვე დავძენთ, რომ სოხუმის მე-15 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლემ (დგებუაძე სოხუმელია) საუკეთესო ტექნიკისათვის გამოცემა „მართვეს" სპეციალური პრიზი მიიღო.

მაგრამ იყო განსხვავებული ბრძოლებიც, ისეთი, დიდხანს რომ გვამახსოვრდება ხოლმე. ერთის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით. თუმცა, ეს ორთაბრძოლა მძიმე წონის მოჭიდავეთა შორის იმით იყო საინტერესო, რომ კარგად ვერც კი დავიმახსოვრეთ, რადგან ქუთაისელმა დ. ხახალეიშვილმა მეტოქე მე-7 წამზე დაანარცხა ხალიჩაზე.

თვალის დახამხამებაში დამთავრდა პროფკავშირების წარმომადგენლის ი. ვანტაევისა და დინამოელ დ. ნიზოს ფინალური ორთაბრძოლაც. ვანტაევს 50-ე წამზე ჩატარებულმა ილეთმა მოუტანა წმინდა გამარჯვება.

დროზე ადრე დამთავრდა ვ. ავალიანისა (საქართველო) და ს. ჩეკალინის (სსრ კავშირი) გადამწყვეტი შეხვედრაც (83 კგ.). ავალიანს, რომელიც სამნახევარი წუთის მანძილზე ფლობდა ინიციატივას და ქულებითაც წინ იყო, შეეძლო მშვიდად ყოფილიყო, მაგრამ მან მანამ არ მოისვენა, სანამ მეტოქე შეცდომაზე არ დაიჭირა და ბრძოლის მიწურულს „მახრჩობელა" ილეთი არ ჩაუტარა.

ერთი სიტყვით, ტურნირი ყოველმხრივ საინტერესო გამოდგა — ორგანიზებულადაც ჩატარდა და სპორტულ-ტექნიკური მაჩვენებლებითაც ყურადღება მიიქცია. შეჯიბრების ბევრ მონაწილესა და მწვრთნელს ვესაუბრეთ. ყველა იმ აზრისაა, რომ სპორტის პოპულარიზაცია მხოლოდ ასე ორგანიზებულად ჩატარებული შეჯიბრებით შეიძლება (ორგანიზატორები საქართველოს განათლების სამინისტრო და რესპუბლიკის სპორტსახკომი). მათი აზრით ძიუდოს საქართველოში ბევრი ქომაგი ჰყავს და სწორედ ამიტომ აღწევენ რესპუბლიკის სპორტსმენები საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე წარმატებებს.

წარმატებები კი მართლაც თვალსაჩინოა, ამაში გუნდური შეჯიბრების შედეგები და მონაწილეთა მიერ მოპოვებული საპრიზო ადგილებიც გვარწმუნებს.

| | I | II | III |
|---|---|---|---|
| საქართველო | 4 | 3 | 6 |
| სსრ კავშირი | 3 | 3 | 7 |
| გფრ | — | 1 | — |
| ბულგარეთი | — | — | 1 |

### კვარცხლბეკი

**53 კგ.** 1. ნ. ოკოგინი, 2. ი. კოროლი (ორივე — სსრ კავშირი), 3. მ. სარქისაშვილი (საქართველო) და გ. მელიკოვი (სსრ კავშირი).

**57 კგ.** 1. გ. ადიბეკოვი, 2. ზ. სამუკაშვილი (ორივე — საქართველო), 3. ვ. დრაჩკო და დ. სავჩიშკინი (ორივე — სსრ კავშირი).

**62 კგ.** 1. ტ. მუსტაფინი (სსრ კავშირი), 2. გ. ხაბულიანი, 3. გ. ბერიძე (ორივე — საქართველო) და ვ. ვეხოვი (ბულგარეთი).

**68 კგ.** 1. ვ. დგებუაძე, 2. მ. თვალაძე, 3. მ. თურმანიძე (ყველა — საქართველო) და ა. კალიკი (სსრ კავშირი).

**75 კგ.** 1. ი. ვანტაევი, 2. დ. ნიზო, 3. ვ. მოვსუნ-ზადე (ყველა — სსრ კავშირი) და ზ. ფოქური (საქართველო).

**83 კგ.** 1. ვ. ავალიანი (საქართველო), 2. ს. ჩეკალინი (სსრ კავშირი), 3. გ. გაჩეჩილაძე (საქართველო) და ი. ვოიცეხოვი (სსრ კავშირი).

**მძიმე.** 1. დ. ხახალეიშვილი (საქართველო), 2. ფ. ჰაიერი (გფრ), 3. თ. რატიანი (საქართველო) და მ. ვასილიევი (სსრ კავშირი).

**გუნდური ადგილები:** 1. საქართველო — 40 ქულა, 2. „დინამო" (სსრ კავშირი) — 25,5 ქულა, 3. პროფკავშირები (სსრ კავშირი) — 24 ქულა, 4. გფრ — 6,5 ქულა, 5. ბულგარეთი — 5 ქულა, 6. შვეიცარია — 4,5 ქულა.

**ნოდარ ბუზუშვილი.**



# ფეხბურთი-87

# ახალი ცნობარი

**საქართველოს** კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ ცალ-ცალკე ქართულ და რუსულ ენებზე გამოუშვა 1987 წლის საფეხბურთო სეზონის ცნობარი. მისი შემდგენლები არიან სპორტული ჟურნალისტები ჯ. ენუქიძე და გ. აკოფოვი, რედაქტორი — სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ანთაძე.

ფეხბურთის მოყვარულები ბევრ საინტერესოს წაიკითხავენ ახალ ცნობარში. მასში გამოქვეყნებულია უმაღლესი, პირველი და მეორე ლიგების საკავშირო გათამაშებათა კალენდრები, უმაღლესი ლიგის გუნდების საგანაცხადო სიები, შარშანდელი სეზონის უმთავრეს შეჯიბრებათა შედეგები, ლანჩხუთის „გურიის" მიერ შარშან I ლიგაში ჩატარებულ შეხვედრათა სტატისტიკური მონაცემები, საქართველოს ჩემპიონატის კალენდარი, საინტერესო ცნობები თბილისის „დინამოს" არქივიდან, XIII მსოფლიო ჩემპიონატის შედეგები, მომავალი ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირის კალენდარი და სხვა მასალები.

უნდა აღინიშნოს, რომ გამომცემლობამ ოპერატიულად გამოუშვა წიგნი, როგორც ვიცით, სხვა ქალაქებში ჯერ ცნობარი არ გამოუშვიათ.

# ჰოკეისტები „მეტალურგის" სტადიონზე

**თბილისში** ნორჩ ჰოკეისტთა პირველი გუნდი ოქტომბრის რაიონის მიკროუბნის საბჭოს თავმჯდომარის ნოდარ დონაძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა. მისი თაოსნობით ახლახან რუსთავშიც შეიქმნა გუნდი, რომელსაც საზოგადოებრივ საწყისებზე ავარჯიშებენ ენთუზიასტი მწვრთნელები ომარ დონაძე, „საქმექანმონტაჟის" სამმართველოს ზეინკალი სერგო ტერ-ზახაროვი და თბილისის ჰოკეისტთა გუნდის მწვრთნელი ნიკოლოზ კოსტრიკოვი.

„მეტალურგის" სტადიონზე კვირაში სამჯერ იკრიბებიან ნორჩები, რომლებიც ჯერჯერობით ჰოკეის ანბანს სწავლობენ და გორგოლაჭებით დარბიან. თუ ხელშეწყობა ექნებათ... იქნებ რუსთაველებმაც შეძლონ სარბიელზე ჰოკეისტთა კარგი გუნდის გამოყვანა. სხვათა შორის, ბიჭებთან ერთად აქ 16 გოგონაც ვარჯიშობს. მაგრამ ისინი ფიგურული ციგურაობის ილეთებს სწავლობენ.

**სურათებზე:** ასე დგამენ დიდი სპორტისკენ მიმავალ გზაზე პირველ ნაბიჯებს რუსთაველი ნორჩი ჰოკეისტები.

რაჟდენ გაბრიჭიძის ტექსტი და ფოტოები.









### „სპორტპროგნოზი":

**მე-12 ტირაჟის შედეგები**

**(21-24 მარტი, 1987 წელი)**

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა მე-12 ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაიშვა 4.217.202 ვარიანტი. 13 შედეგი ვერავინ გამოიცნო, 12 შედეგის გამოცნობისთვის (22) მოგებამ შეადგინა 5.755 მანეთი, 11 შედეგისათვის კი (267) — 1.895 მანეთი.

მე-12 ტირაჟის მოგებათა გაცემა იწარმოებს 1987 წლის 8 აპრილიდან 8 მაისამდე.

### ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 1 აპრილი.** დილის დაჭურვა — **8.00 (1)**; დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; ჯანმრთელი რომ იყო — **20.15 (2)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ფრენბურთში ქალთა შორის: „ურალოჩკა" — „ორბიტა" (გადმოცემა მინსკიდან) — **22.45 (2)**.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**


**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი:** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 05289